№ 65 6 თიბათვე, ორშაბათი 1866—1877 6 თიბათვე, ორშაბათი № 65

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

**კანტორა რედაქციისა:** მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

**ხელის-მოწერა:** მიიღება კანტორაში, ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

# დროება

ყოველ დღე სამშაბათს გარდა

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** დიდ ასოებით ასოზე—1 კაპ., ჭარ ფთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## ხელის-მოწერა გაზეთს „დროებაზე“

რომელიც **პირველი ივნისიდამ ყოველ დღე** გამოდის, შეიძლება მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე, ნ. ამატუნის სახლებში.

**ფასი გაზეთისა ამ 1 ივნისიდამ მომავალი წლის 1 იანვრამდე—5 მან.**

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

## ტელეგრამები

### ბრძოლის ველიდამ

**მაცრა**, 3 ივნისს. დღეს, სამს საათზე, ალექსანდრეთან, ღენერალ ზეიმანის ბანაკის პირ-და-პირ, **ყარსიდამ** გამოვიდა **ოსმალოს** ჯარი 10 ბატალიონი 2 ბატარეიით. ცოტა სროლის შემდეგ, **ოსმალოს** ჯარი **ჩაეტლიყთან** ქართველების ორმა ბატალიონმა და **სევერსკის** პოლკმა უკუ-აქცია და დაფანტული გაიქცნენ **ყარსის** ციხეში.

ბრძოლის ველზე **ოსმალებმა** 200 მკვდარი დასტოვეს.

**ჩვენის** მხრით მ. ბუბუქოთ დაკოდილია პრაპორსჩიკი **ალეტოვსკი. სალდათები** მოკლულია 11, **დაჭრილი** 106.

**ბაიაზეთის** სამხრეთით, **ტეფჩისთან**, 2 ივნისს გამოჩნდა მტრის ქვეითა ჯარი; მაგრამ დაინახა თუ არა ჩვენი ჯარი, რომელიც მდ. **სოფქ-სუს** ათვალიერებდა, იმ წამსვენ უკან დაიწია.

**სამეგა**, 2 ივნისს. **რამდენიმე** ასი კაცი რეგულიარული და ირეგულიარული ჯარისა დაეცნენ ჩვენს 2 მსროლელთ ბატალიონს **სამეგასთან**, ტყეში. **ჩვენს** ჯარს მოეშველა **რეზერვები** და სხვა ჯარი და ხიშტებით განდევნეს მტერი, **რომელსაც** 10 კაცი მოუკლეს და 12 ოფიცერ დაატოვებინეს დაჭრილები კი თან წაიყვანეს.

**ჩვენის** მხრით მოკლულია: შტ.-კაპ. **პრეკვალსკი** და 6 **სალდათი**; **დაჭრილი** არიან: **პარუჩ. ლემენი-მაკედონ** და 11 **სალდათი.**

**საღამოს 7 საათზე, ოსმალოს** ჯარი კიდევ ამავე ადგილას **მოუახლოვდა** და **სამჯერ** გვესროლეს **ოფიცები. ღამის 2 საათზე ოსმალოებმა** კიდევ **განიზრახეს ჩვენი** თავს-დასხმა; ერთის **საათის** განმავლობაში **განუწყვეტლად** ოფიცს **გვესროდნენ** და **აგრეთვე** რამდენიმეჯერ **ზარბაზანიც** გაისროლეს.

**ჩვენის** მხრით **მოკლულია** 1, **დაჭრილი** 2.

**სოჩა**, 2 ივნ. 1 ივნისს **სოჩიდამ** მდ.

## ფელეტონი

### ხმა მონასტრიდამ

**არა** ვგონებ, **რომ** იმ **გვარ** მოუსვენარ **მდგომარეობაში** ჩავარდეს **კიდევ** **როდისმე** **ჩვენი** **ქიევი**, **როგორ** **მდგომარეობაშიაც** **იმყოფება** **დღეს.**

**მართალია**, **თქვენს** **თვალს** **ისევ** **ძველებურად** **მლოცავი**, **წყნარი**, **ჩუმი** **ქიევი** **უდგია** **წინ**, **მაგრამ** **თვალს** **რომ** **გონებაც** **მიაშველოთ**, **რომ** **კიეველების** **სულიერს** **მდგომარეობას** **კარგა** **დააკვირდეთ**, **მაშინ** **ცხადათ** **დაინახავთ**, **რომ** **მრთელი** **ქიევის** **გულში** **თუ** **არ** **გრძნობათა** **ქარიშხალი**—**ნიავი** **მაინც** **მოძრაობს.**

**და** **საკვირველი** **ეს** **არის**, **რომ** **სხვა** **და** **სხვა** **გარემოებანი**, **თითქო** **პირობის** **მიცემით**, **ისე** **ერთად** **შეგროვდნენ** **ერთსა** **და** **იმავე** **დროს**, **რომ** **მთელი** **ქიევის** **მცხოვრებთათვის** **მოუსვენრობა** **საერთო** **მოვლინებათ** **გარდაქცეულა** **დღეს.** **სულის** **ღელვას** **ჰგრძნობენ** **ქიევის** **ბედნიერი** **მცხოვრებნიც** **და** **უბედურნიც.** **მხოლოდ** **ამათი** **გულის** **ღელვის** **მიზეზნი** **სრულებ** **სხვა** **და** **სხვა** **გვარნი** **არიან.** **თქვენთვის**, **ჩემო** **ბატონო**, **ვგონებ** **ადვილი** **წარმოსადგენია** **რითაც** **უნდა** **ღელავდეს** **ეხლა** **ქიევისა**—**ჩინოვნიკებ-ვაჭრებს** **სასულიეროს** **წოდებათა**—**სულ!.**

**ამის** **მიზეზი**, **რასაკვირველია**, **ომი** **გვიგზლავ!** **ვინ** **გაამტყუნებს** **მათ** **ამისთვის!.** **ურჯულო** **ბუსურმანების** **სიძულვილი**, **ცრარე** **პატრიოტული** **გრძნობანი**, **რუსეთის** **ჯარის** **დევ-გმირული** **ლაშქრობა**, **ოსმალების** **აზიური** **სისუსტე** **და** **კიდევ** **სხვა** **ბევრი** **რამ** **მრავალი**—**განა** **მოსვენებას** **მისცემენ** **მათს** **კაცობრიობისადმი** **სიყვარულით** **აღსავსე** **გულს** **და** **პატიოსნური**, **გონიერული** **აზრებით** **სავსე** **თავს?!...** **მერმე** **ამ** **დროს**, **როდესაც** **რუსეთის** **ჩინოვნიკობას**, **ვაჭრობას**, **და** **სასულიერო** **წოდებას** **თვისი** **მფარველი** **და** **მრავალ** **მოწყალე** **განმანათავისუფლებელი** **მონარხი** **მიუძღვით** **წინ!!.** **თუ** **ეს** **ასეა** **მაშ** **რაღა** **ჩინოვნიკი**, **ვაჭარი**, **მღვდელი** **უნდა** **იყვეს** **ის**, **ვინც** **მზათ** **არ** **არის** **შესწიროს** **თავი** **თვისი** **თვისსა** **ჯიბესა!?**

**სწორე** **უნდა** **სთქვას** **კაცმა**—**კიეველები** **მართლაცა-და** **არაფერს** **არ** **ზოგავენ** **ამ** **საქმისათვის.** **ომის** **გამოცხადებისათანავე** **მათმა** „**დუმამ**“ **ასი** **ათასი** **მანეთი** **შესწირა** **სახელმწიფოს** **ომის** **საჭიროებისათვის....** **ახლა** **ალბედენი** **კერძო** **შესაწირავი-ფულით** **თუ** **ნივთით**—**მიჰყვა** **ამას....** **მხურვალე** **თანაგრძნობის** **გამოცხადება!...**

**მაგრამ** **ყველა** **ამ** **წოსებათა** **შორის** **ქიევის** **სასულიეროს** **წოდებამ** **უფრო** **ყოჩაღათ** **გამოიჩინა** **თავი.** **ესენი** **თავის** **ღირს** **სულიერს** **შვილებს** **ცალ-მხრივ** **აგონებდნენ** **იმ** „**შავ** **დროს** **ანბებს**, **როდესაც** „**წყეული** **ბუსურმანები** **ბატონობდნენ** **რუსეთში**: **ჰკრეფდნენ** **რუსებისაგან** **საშინელ** **ხარჯს**, **ხოცავდნენ** **მღვდლებს**, **ანგრევდნენ** **ეკლესიებს**, **ამტვრევდნენ** **და** **ნაგავში** **ჰყრიდნენ** **ხატებს** **და** **წმიდათა** **ნაწილებს**, **სწვამდნენ** **მინდვრებს** **და** **ველებს**, **ანგრევდნენ** **ქალაქებს** **და** **სოფლებს**, **შეურაცხყოფას** **აძლევდნენ** **რუსების** **ცოლებს** **და** **შვილებს** **და** **სხვ.** **და** **მეორეს** **მხრივ** **სწორეთ** **დანტეს** „**ღეთიური** **ქამედიის**“ **სურათებით** **უდგენენ** „**მოძმე** **სლავიანების**“

მზიმთისაკენ გაგზავნილი იყო ჯარი დასათვალიერებლად. აღმოჩნდა, რომ ადლერთან ხომალდებიდამ გამოსულა ახალი ატრიადი ოსმალებისა, რომელიც ახშტირთან დაბანაკებულა. მალდავანკასთან ამ დამათვალიერებელ ჯარს მტერთან შეტაკება ჰქონდა და ამ დროს მტერს 8 კაცი მოუკალით და ბევრი დავჭერით.

ჩვენის მხრით მძიმედ დაჭრილია პრაპ. პშიზოვი, მოკლული 5 ცხენი.

მზიმთასთან მტრის ჯარი 1000 კაცამდინ არის.

—

დიდოელებსა და თუშებში არეულობა მოხდა. სოფ. ასახოს დიდოელები დაეცნენ თუშებს, წაასხეს იმათი ცხვრის ფარა და მოუკლეს რამდენიმე მწყემსი.

ამ არეულობის უმთავრესი მიზეზი მაჰმადიანური ფანატიზმი და ამას გარდა ძველი ადგილობრივი უკმაყოფილება ამათ შუა მიწის თაობაზე.

ადგილობრივმა სამხედრო მთავრობამ მიიღო ყოველი ღონის-ძიება, რომ ეს უწესობა დაამშვიდოს.

## ომის ამბები

ინგლისურს გაზეთს „Daily Telegraph"-ში დაბეჭდილია არზრუმიდან მოსული შემდეგი ამბავი:

„ერთი საშინელი შემთხვევა მოხდა ამ 23 მაისს: ჩერქეზის კავალერია 4,000 კაცი მუხთარ-ფაშის ჯარიდან მუსსა-ფაშის უუნდუხოვის წინამძღოლობით გამოემგზავრენ არზრუმიდამ ყარსისკენ, უარტილერიოთ. გამოიარეს სამყოფი ვზა. დაღალულ და მოქანცულ ჩერქეზებმა მოინდომეს დასვენება ბექილ-აჰმედისმინდორზე ღამის გასათევლად.

„რუსებმა შეიტყეს თავიანთ შპიონებისაგან ჩერქეზების შევიწროებული მდგომარეობა და შეჰკრიფეს უანგარიშო ხალხი თავს დასაცემათ. რომ უფრო ადვილათ მოეხერხებინათ მტრებზედ დაცემა, წინ წავიდა ერთი კავალერია, რომ კარგი შესამაგრებელი ადგილი ეპოვნათ. შემაგრების შემდეგ, შუალამეზე, სიბნელეში რუსებმა დაიწყეს საშინელი სროლა. როგორც იგრძნეს თავიანთი საშიშო მდგომარეობა ჩერქეზებმა, სოფლის მცხოვრებლებს დააბრალეს ღალატობა და დახვრიტეს იმ წამსვე ტყვეთ წაყვანილი რუსების შპიონები. ცხარე შეტაკება გაიმართა. ჩერქეზები, რომელთაც არ იცოდნენ თავიანთი მტრის ჯარის სიმრავლე, იბრძოდნენ თავგანწირულნი და სიცოცხლიდან ხელ-აღებულათ. თუმცა თოფის ცეცხლის სინათლემ კარგათ დაანახა იმათ თავიანთ მდგომარეობა და გაქცევის შეუძლებლობა, რადგან მტრის მხრით იყო შემოსაფრული კავალერია, მაგრამ მაინც არ დაემორჩილნენ და არჩიეს სიკვდილამდინ ბრძოლა...

„რუსები თან-და-თან უახლოვდებოდნენ ჩერქეზებს; ბოლოს შემოერტყნენ ღანარჩენ ცხენოსნებსა, რომელნიც შეიარაღებული იყვნენ ყარაბინით და ხმლით და დახოცეს ერთიანათ. ამ ოთხი ათას კაცში გადარჩნენ მარტო 200, რომელნიც გაქცეულიყვნენ. დაჭრილების რიცხვში იყო მუსსა-ფაშა უუნდუხოვი, რომელიც შემდეგ მოკვდა.

„ეს იყო საშინელი ზიანი ოსმალებისთვის; თითქმის მთელი კავალერია მუხთარ-ფაშისა დაიღუპა ამ საშინელ ბრძოლაში."

—

ამავე გაზეთში იწერებიან შემდეგს ამბავს სოხუმიდამ: „მე მეგონა, რომ ოსმალოები ძალიან წინ მიდიოდნენ კავკაზიაში, მაგრამ ნამდვილათ გამოჩნდა, რომ ჯერ ფოთში არ მისულან. აქ ჰყავთ იმათ 22 ათასამდინ კაცი აჯანყებულებით.

„19 მაისს რუსებმა დაიჭირეს სოხუმიდამ 50 ვერსტზე სამხრეთისკენ სიმაღლეები. ოსმალოს ჯარი შესდგებოდა 1,000 ჩერქეზებისგან 4 ბატალიონი ჯარისგან. მათ მმართველათ იყო შაქირ-ფაშა. შეეტაკნენ რუსებს და, 5 საათის განმავალობაში ფიცხელი ბრძოლის შემდეგ, რუსებმა მიატოვეს თავიანთ ბანაკი, გადასწვეს რაც სარჩო ჰქონდათ, რომ მტერს არ დარჩენოდა. ბრძოლის ველზე დასტოვეს 18 მკვდარი ყაზახი და ბევრი დაჭრილი ასე, რომ ველი მოფენილი იყო მტრის დაჭრილებით. ჩერქეზებს კი ბევრი არ დააკლდათ. ბეკირ-ბეი, სტამბოლიდამ მოსულის ჯარის უფროსი, დაჭრილია."

—

აწმყო მდგომარეობას. „ასი ათასი ქრისტიანი მოძმე გაგვიმუსრეს ჯოჯოხეთის წყეულმა შვილებმა"—შესძახა ემ წინაზედ ერთს ეკკლესიაში თვალ-ცრემლიანმა მქადაგებელმა.—„წადით ვისაც შეგეძლოთ, დაეხმარეთ რითიც შეგეძლოთ, რათა განდევნილ იქმნენ ის წყეული ეშმაკის მანქანებანი დედა-მიწის ზურგიდამ."

სულიერი შვილები გულ-მოდგინეთ ისმენენ ამ გვარ ქადაგებათ, ღვრიან ცხარე ცრემლს და გამოდიან ქრისტიანული სალოცავიდამ ოსმალოს ხალხის განადგურების სურვილით.

რასაკვირველია, ეს სურვილი, როგორათაც მხოლოდ გრძნობებზედ აშენებული, დიდხანს არ აღშფოთებს თავის პატრონს; მაგრამ, რაც უნდა იყვეს, ამ სურვილს ბევრი რამ შედეგები მოსდევენ. ჯერ ერთი რომ ამ სურვილისა საზოგადო შთაბეჭდილება მაინც კარგა ხანს რჩება მათში, რის გამოც ყოველ მქადაგებელს ადვილად შეუძლიან, როდესაც მას უნდა, საჩქაროზედ აღძრას ეს ხალხი. მეორეც ის, რომ თვის დაბადების დროსვე ეს სურვილი კარგა დიდს განვლენას ახდენს ჩვენი კიეველების ჯიბეებზედ. მე ჩემის თვალით მინახავს, როგორათაც ამ გვარ ქადაგებათაგან აღელვებულ კაცს ამოულაგებია თვისი ქისიდამ რაც კი შიგ დახვედრია ამ დროს და პირჯვრის წერით ჩაუყრია „მოძმე სლავიანებთათვის" ჩამოტარებულს კრუჟკაში. როგორც ამბობენ, მარტო კიევიდამ ორას ათას თუმნამდისინ გავიდა თურმე ამ ომების დროს სამზღვარ გარეთ. ახლა ამ შინაური ომის სასარგებლოდ შეწირული ფულიც რომ დაუმატოთ, მაშინ ცხადი იქმნება ჩვენთვის თუ ამოდენა ეკონომიურის ძალის განშორებას რა განვლენა უნდა ჰქონდეს მრთლად სამხრეთ. რუსეთის ეკონომიურს მდგომარეობაზედ.

ამას დაუმატოთ ის გარემოებაც, რომ დნეპრის და სხვა მდინარეების წლევანდელმა საშინელმა გადიდებამ დიდი ზარალი მისცა ამ მხარეს. რამდენიმე სოფელი და ერთი ქალაქი თითქმის სულ მრთლად დაეღუპა ადიდებულ წყალს. დიდი ზარალი დამართა დნეპრმა ჩვენი კიევის საბრალოთაც. მოგეხსენებათ, რომ თითქმის ყოველი ქალაქის უხეირო ალაგი საწყალი მუშა ხალხის ხვედრია. ესე არის კიევშიაც. და რადგანაც კიევში ამ გვარი ცუდი ალაგი-ჩავარდნილი, ჭაობიანი და ნაგვით სავსეა და დნეპრის ახლო მდებარეობს, ამისათვის კიევის საწყალი ხალხიც თითქმის სულ აქ ცხოვრობენ. დნეპრი გადვიდა, თვის ჩვეულებრივ ნაპირზედ და შეერია ამ საცოდავი ხალხის სახლებს და ქუჩებს. მართალია, ადამიანის ზარალი თითქმის არა მომხდარა-რა, მაგრამ მათ ქონებას კი, რასაკვირველია, ხეირი არ დაეყარა: მრავალი შინაური ცხოველები და ფრინველნი, ტანისამოსი, სარჩო და სახლის სხვა და სხვა ავეჯეულებანი გახდნენ გაჯიქებული დნეპრის წყრანი. მრთელი ორი თუ სამი კვირის განმავალობაში ამ სახლებიდამ გამორეკილი ხალხი ან უბრალოდ ეკკლესიებთან და მონასტრებთან ეყარნენ და ან რომელსამე სახელმწიფო სახლში შეყრილნი, სცხოვრობდნენ პირუტყვებივით ერთი ერთმანეთზედ მიმსხდარნი.

ამ გვარს მდგომარეობაში იყვნენ ამ ცოტა ხნამდისინ კიევის უბედურნი..........

თქვენებური

კიევი, მაისის 5-ს

სტამბოლს ამაგრებენ ოსმალოები. მარმარილოს ზღვის მხრით ქალაქი ჩინებულად არის თურმე გამაგრებული ასე, რომ აქედამ მტრისა არ ეშინიანთ. ტორპედებს გარგა, თვითონ ზღვის ნაპირებზე, ხმელეთზე, ციხეები და სიმაგრეები აუგიათ, თხრილები გაუთხრიათ. ამბობენ, რომ ყოველ დღე სტამბოლის გასამაგრებლად თორმეტი ათასი კაცი მუშაობს.

—

ინგლისურს გაზეთს „Daily Telegraqh“-ში მოყვანილია სოხუმიდამ შემდეგი ამბავი:

„30 მაისს ფაშილ-ფაშას თაოსნობით მდ. ქადორის მახლობლად, გამოსულა 600 ჩერქესი და რამდენიმე ოსმალო, მზის ჩასვლის დროს. რუსები ყოფილან 2,000 მილიციონერი და 300 ყაზახი რუსი. ოსმალოს ჯარს შეუტყვილებია რუსები მდინარე ქოდორის ნაპირას მდებარე ტყეში და დაუწყვიათ საშინელი სროლა. რუსების მხრით დახოცილა 150 კაცი და დაჭრილან 300.“ (ეს ამბავი იმ შემთხვევას უნდა ეკუთვნოდეს, როდესაც თ. სვ. მიქელაძე იყო მოკლული).

—

მოგეხსენებათ, რომ მცირე აზიაში დაპყრობილ ალაგების უფროსებათ ჩვენი მთავრობა ისევ აღგილობრივ მცხოვრებთ—მაჰმადიანთ და სომხებს—აყენებს. ამ განკარგულების განზრახვა ის არისო, ამბობს ერთი ინგლისური გაზეთი, რომ რუსებს ჰსურთ დაუმტკიცონ ადგილობრივ ხალხს, რომ ისინი არ ეხეპიან და შეურაცხყოფას არ მიაყენებენ დაპყრობილი ქვეყნების სარწმუნოებასა და ხალხოსნობას, რომ ამით ამ ხალხების გული მოიგონო და ოსმალოს წინააღმდეგ მიიხმარონ ისინიო.

—

ერთს ფრანცუზულს გაზეთში არზრუმიდამ იწერებიან: „ინგლისის ღენერალი ქემბალი 20 მაისს გავიდა არზრუმიდამ და პირ-და-პირ მუხთარ-ფაშასთან მიდის, რომელიც ამ ჟამად თავის ჯარით რამდენიმე ვერსზე დგას არზრუმიდამ და თან-და-თან უკან იწევს, რადგან რუსები წინ მოდიან. თუ რუსის ჯარმა თავი შემოუარა მუხთარ-ფაშას, ეჭვი არ არის, რომ ის არზრუმს ადვილად აიღებს, რადგან ეს ქალაქი ხეირიანად არ არის გამაგრებული.

„არზრუმში უშინიანთ აგრეთვე, რომ რუსებმა სომხეთის დედა-ქალაქი ვანი არ აიღონ. მაშინ მთელი სომხობა, რომელიც ახლაც თითქო თანაუგრძნობს რუსებს, დაემორჩილება და პირ-და-პირ გამარჯვებულების მხარეს დაიჭერს. რუსები ყოველ საშუალებასა და ღონის-ძიებას ხმარობენ, რომ ადგილობრივი მცხოვრებლების გული მოიგონ.“

—

რუსის გაზეთებში დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული შემდეგი დეპეშა:

„არზრუმიდამ მიღებული დეპეშა გვაცნობებს, რომ რუსები თან-და-თან უახლოვდებიან არზრუმს. მუხთარ-ფაშა სულ რამდენიმე ვერსის სიშორეზედ დგას არზრუმიდამ. უეჭველია, რომ არზრუმთან ამ მოკლე ხანში დიდი შეტაკება მოხდება.“

ეს შეტაკება, ეს ბრძოლა არზრუმთან გადაწყვეტს მცირე აზიაში რუსეთსა და ოსმალებს შუა ბრძოლის ბედს. თუ რუსებმა ყარსი და არზრუმი აიღეს, მთელი მცირე აზია იმათ ხელში იქნება და ადრინოპოლამდინ იმათ ჯარს. მაშინ ოსმალები ველარ გაუწევენ წინააღმდეგობას, ველარ შეაჩერებენ.

—

„ხალხთა-მორის ტელეგრაფის აგენტობა“ გვაცნობებს, რომ ინგლისის გავლენისა და რჩევის გამოისობით დაანებეს ოდესას თავი ოსმალოებმაო, თორემ გადაწყვეტილი ჰქონდათო, რომ ამ ქალაქს ხომალდებით მისდგომოდნენ და ყუმბარები დაეშინათ იმისთვისაო.

—

ჩერნოგორიის ბრძოლის ველიდამ სხვა-და-სხვა გვარი და ერთმანეთის წინააღმდეგი ამბები მოგვდის: თვითონ ჩერნოგორიიდამ მს და პლოეშტიდამ მოსული დეპეშები გვარწმუნებენ, რომ ოსმალები ყველგან დავამარცხეთ, უკანასკნელ შეტაკებებში იმათი მხრით 3,000 კაცი დავხოცეთო; სტამბოლიდამ კი იწერებიან, ჩერნოგორიელებს ყველა ალაგებიდამ უკან დავაწევინეთო და ჩვენი (ე. ი. ოსმალოს) ჯარი თან-და-თან წინ იწევს და ჩერნოგორიაში შედისო.

—

ვენის გაზეთებში იწერებიან სტამბოლიდამ, რომ აქაურ ოსმალოს სამღვდელოების პირველმა პირმა—შეიხ-ულ-ისლამმა ამოარჩია შვიდი ულემი, რომელიც უფრო სწავლული და მოხერხებულები არიანო და გაგზავნას უპირებს ევროპისა და აზიის ბრძოლის ველზედაო. ამათი მოგზაურობის ჰაზრი ის არის, რომ ოსმალოს საღდათებს ჩააგონონ, რომ ახლანდელი ომი უბრალო ან პოლიტიკური ომი და ბრძოლა კი არ არის ოსმალეთსა და რუსეთს შუა, რომ ეს არის „სამღვთო ომი“, რომ რუსებს განზრახვა აქვთ ამოჰხოცონ მთლად ოსმალოები და მოსპონ მაჰმადის ხსენებაცა. ამის გამო ყოველი მაჰმადიანი ვალდებულიაო, რომ აიღოს ხელში იარაღი და ყორანის დასაცველად იომოსო. შეიხ-ულ-ისლამის დარიგებით ამ ულემებმა უნდა ჩააგონონ საღდათებს, რომ, ვინც ამ ომში მოკვდება, ცხონებული იქნება და წმინდანებს-დასში ჩაირიცხება, რადგან ყორანის ბრძანებას აასრულებს.

ამ შვიდი ულემიდამ, როგორც ამბობენ, ორი გამოგზავნილი იქნება ჩვენკენ, აზიისაკენ, სამი დუნაისაკენ (ბოლგარიაში), ერთი ალბანიაში და ერთიც ბერცოგოვინაში.

# საქართველო

## დღიური

** სახელმწიფო რჩევას გადაუწყვეტია, რომ რუსეთში ნავთზე აქციზი მოასპოს, ე. ი. რომ დღეის შემდეგ ყველა კერძო პირს უფლება ექნება მინიჭებული, რომ თავისუფლად შეამუშაოს ნავთის ქარხნები და გაჰყიდოს. ეს განკარგულება, რასაკვირველია, გააიაფებს ნავთს რუსეთში და განსაკუთრებით ჩვენში. და ამ გარემოებას, რაღა თქმა უნდა, დიდი და საკეთილო მნიშვნელობა ექნება ჩვენი ღარიბი ხალხისათვის, რომელიც დღემდინ ჭრაქით ანათებს თავის ქოხს.

** ცოტ-ცოტათი ეტყობულობთ იმ ზიანს, რომელიც ამ თვის 3-სა და 4-ს მოსულ სეტყვას მიუცია თუ ქალაქისთვის დათუქალაქის ახლო-მახლო სოფლებისათვის: ქალაქში, რაც ჩრდილოეთის მხრით ფანჯრები ჰქონდა სახლებს, თითქმის ყველა ჩაამტვრია. ბუჩის ფანრებს სამში ორს სრულებით აღარა აქვთ შუშები.

ამბობენ, რომ უკანასკნელი ორი ათასი თუმნის შუშები მაინც დაამტვრია ამ ორი დღის განმავალობაში სეტყვამაო. პირველ დღეს, სეტყვას უფრო მომეტებული ზიანი სოლოლაკში მიუცია, რადგან აქეთკენ უფრო ძლიერი სეტყვა ყოფილა. მეორე დღეს, შაბათს კი ძუკიის ფანჯრები და ფანრები ჩაუმშხვრევია.

სოფლებიდამ მოსულებმა გვიამბეს, რომ ქოდიდამ მოყოლებული მცხეთამდინ რაც ყანები, მინდვრის მოსავალი, ვაზი და ხეხილი იყო, სულ გაანადგურაო, ერთი მარცვალიც არა მოვა-რა წელსაო. ქარგი კიდევ თუ კალიებიც ამოწყვიტა. უფრო შორი ალაგებიდამ ჯერ არაფერი ამბები არ მოგვსელია ამ საშინელ მოვლინებისა და იმისაგან მიყენებულის ზარალის თაობაზე.

** ბაზეთის „ბოლოსის“ (ხმის) კორრესპონდენტი იწერება ამ გაზეთში ოფილისიდამ, რომ აქაურმა „წითელ

ჯვრის საზოგადოებამ“ ოთხი სანიტარუ-ლი განყოფილებ შეადგინა: ალექსან-დრაპოლის, რიონის, ახალციხის და ერე-ვნის და თითოულ ამ განყოფილებაში თითო დანდობილი პირი ჰყავს; მთელი საზოგადოების საქმის გამგებელად ღე-ნერალი ტალსტოი არის ამორჩეულიო. ფოთი-თფილისის რკინის გზაზე ომში დაჭრილ და ავათმყოფ მეომრების გადა-საყვან-გადმოსაყვანათ, ამავე კორრეს-პონდენტის სიტყვით, 32 ცალკე ვაგო-ნი გამართესო, რომელნიც ისეთნაირად არიან მათავსებელნი, რომ თავისუფლად გადაჰყავთ ავათმყოფებიო.

*** რუსეთში „წერა-კითხვის გამავრცე-ლებელ კომიტეტის“ მეოხებითა და ხარ-ჯით, კავკასიის ყველა სამხედრო ლაზა-რეთებში დაჭრილ და ავათმყოფ მეომ-რებისათვის გამართულია საკითხავი ბიბ-ლიოთეკები.

*** ტელეგრაფის დეპარტამენტი აცხა-დებს, რომ ზუგდიდიდამ ოქუმამდინ (სოხუმის მაზრაში) ტელეგრაფის მავთუ-ლი არის გაყვანილიო და დღეის შემდეგ ამ ორ დაბას შუა დეპეშების გაგზავნ-გამოგზავნა შეიძლებაო.

# უცხო ქვეყნები

## ავსტრო-ვენგრია

ამას წინათ სამზღვარ გარეთის გაზე-თებში წავიკითხეთ, რომ ავსტრო-ვენ-გრიის სახელმწიფოც, ევროპის სხვა უმ-თავრესს სახელმწიფოების მიმხედვარე, ემზადება საომრად „ყოველ შემთხვევი-სათვისო“. დღეს „პეტერბურგის ნემე-ცურს გაზეთში“, სხვათა შორის, ვკითხუ-ლობთ, ამ გაზეთის ვენიდამ მოწერილს კორრესპონდენციაში: „ის ხმები, რო-მელიც ავსტრო-ვენგრიის შეიარაღების თაობაზე დაადგეს, ერთობ გარდამეტე-ბულია. ტყუილია, ვითომც ავსტრო-ვენგრიის მმართებლობამ განკარგულება მოახდინაო, რომ სამი კორპუსი თავის სახელმწიფოს სამზღვრების დასაცველათ გაგზავნაო,—ესკაქ ჰაზრათაც არაფის მო-სვლია. ეს ხმა უთუოთ იმის მიზეზით დაჰყარეს, რომ აქაურმა მმართებლობამ მართლა მოახდინა განკარგულება სერ-ბიის მოსამზღვრე ადგილების დასაცვე-ლათ ჯარების გაგზავნისა. ამ განკარგუ-ლებას რუსეთის ინტერესების საწინაღმ-დეგო მნიშვნელობა არასოდეს არ შეი-ძლება მიეცეს, რადგან ეს იმის (რუსე-თის) თანხმობით მოახდინეს.

## სპარსეთი

— ერთს შვეიცარიულს გაზეთში იწე-რებიან, რომ დაამარცხებს თუ არა ერ-ხელ მაინც კარგათ რუსეთი მცირე აზი-აში ოსმალოებს, სპარსეთიც იმ წავსვე აპირებს, რომ ოსმალეთს ომი გამოუც-ხადოს, და თან თავის ჯარით ბაღდადს დაიჭეროს.

## კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფა-სოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანე-თამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავათმყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-მდინ — დოქტორი ონანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12მდინ —დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი — დოქტორი უშა-კოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა. რემერტის, ალბანუსის და ანანოვის

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახში კი დღეში—1 მანეთი.

# განცხადებანი

ვისაც ეჭირება კაცი, რომელმანც იცის ბუხლალტერიის ანგარი-ში, კანტორის გამგეობა ანუ ვისაც უნდა საანგარიშო ანუ სხვა რაი-მე საქმის გამგებელი, შეუძლიან მიმარ-თოს „დროების“ რედაქციაში.

ქირით მიეცემა ქვრივი ღენერალ ესაძეს სახლში კუკიაში, კოჩუბეის ქუჩაში, ზე-მო ეტაჟაში ათი კარგი ოთახი თავის მოწყობილობით: თუ ისურვებს ვინმე შეიძლება მთელი სახლი სრულებით ერ-თათ მიეცეს, ესე იგი ზეითი და ქვეითი ეტაჟა. ამ სახლს ეზოში ბაღჩაც აქვს.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური. . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გა-რეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 2 ივნისს | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 3½ პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 268 სანტიმი. | — | 81 |
| ესკონტი(სარგებლისფასი) | 7½ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 95 | — |
| მოგებიანი(პირველისესხი) | 202 | |
| მოგებიანი (მეორე ესხი) | 197 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის (5½) | 83 | — |
| მოსკოვის (5%). . . . | 90 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 158 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 465 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 203 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 735 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 4 ივნისს | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 1 | 30 |
| ფქვილი წითელი. . . | 1 | — |
| ქერი ფუთი. . . . | — | 80 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 70 |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 8 | — |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 7 | 70 |
| მატყლი თუშური ფთ . | 6 | — |
| —თარაქამისა ფთ. . | 3 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი . . | 5 | 20 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 6 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 11 | 80 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 72 |
| —ცხვრისა, ლიტრა . | — | 72 |
| სპირტი, გრადუზი . | — | — |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 8 | — |
| —ფხვნილი ფუთი . . | 7 | 20 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 28 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 9 | — |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 7 | 66 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Iюня 1877 г. Типографiя Меликова.* გამომცემული ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.